აზიის განვითარების ბანკის
საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორს
ქალბატონ იეშიმ ელჰან კაილარს

ასლი:

აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი
წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს
ბატონ მედგარ ჭელიძეს

თარიღი: 17 მაისი, 2016 წ.

თბილისში, ქვემო ფონიჭალაში, რუსთავის გზატკეცილის მიმდებარე
კერძო საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა საჩივარი

ჩვენი, ქვემოთ ხელმომწერთა, კერძო საცხოვრებელი სახლები მდებარეობს თბილისში, ქვემო ფონიჭალის დასახლებაში, რუსთავის გზატკეცილის მიმდებარედ. ჩვენ, ისევე როგორც ჩვენს მეზობლად განლაგებული, გზატკეცილის მიმდებარე სხვა შენობების მაცხოვრებლები, ვექცევით თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მე-2 მონაკვეთის) პროექტის ზეგავლენის ქვეშ. პროექტის გამო, ჩვენ გვიწევს იძულებით განსახლება.

ჩვენთვის მიუღებელია მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) მიერ შემოთავაზებული იძულებითი განსახლების პირობები. კერძოდ, მგფ-ს წარმომადგენლები გვთავაზობენ კომპენსაციას, რომლის ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ჩვენი საცხოვრებლების მგავსი სახლის/ბინის ყიდვა შეუძლებელია, როგორც ჩვენსავე დასახლებაში - ფონიჭალაში (ბოლო მონაცემებით, ფონიჭალაში ბინების ფასი გაიზარდა და შემოთავაზებული კომპენსაცია ბევრად ჩამოუვარდება საბაზრო ფასს), ისე თბილისის სხვა უბნებში. ზემოხსენებულის გამო, მაცხოვრებლების ნაწილმა უარი ვთქვით მგფ-ს მიერ შემოთავაზებულ კომპენსაციაზე. მაცხოვრებლების ნაწილი შემოთავაზებულ კომპენსაციას დათანხმდა და თანხაც უკვე მიიღო (ძირითადად კომპენსაციას დათანხმდა მაცხოვრებელთა ის ნაწილი, ვისაც ქონება დარეგისტრირებული არ ჰქონდა და მცირე კომპენსაციასაც დათანხმდა).

მგფ-ის წარმომადგენლებმა, ასევე, შემოგვთავაზეს ბინები თბილისში, დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე ორსართულიან საცხოვრებელ კორპუსში, რომელიც როგორც გავიგეთ, თავდაპირველად, სტუდენტებისთვის აშენდა. ამ შემოთავაზებულ ვარიანტზე უარი განვაცხადეთ, ვინაიდან შემოთავაზებული ბინების ფართი ჩვენსაზე ბევრად მცირე იყო, გარდა ამისა, ფონიჭალაში ცხოვრება გაცილებით იაფია, ვიდრე, მაგალითად, დიღომში ან თბილისის სხვა უბანში. სხვა სიტყვებით, ამ ვარიანტზე დათანხმების შემთხვევაში, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება გართულდება, ხოლო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზრდება; გართულებულ პირობებსა და გაზრდილ დანახარჯებს კი, შემოთავაზებული კომპენსაცია არ ითვალისწინებს.

ქვემოთ, აღწერილია მგფ-თან და აზიის განვითარების ბანკთან ჩვენი კომუნიკაციის ქრონოლოგია:

პირველად პროექტის შესახებ მგფ-ს წარმომადგენლებისგან 2013 წლის ზაფხულში შევიტყვეთ. მგფ-სა და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები გვეწვიენ და მოგვაწოდეს ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ; დაგვირიგეს ბუკლეტები და გვითხრეს, რომ ჩვენი

საცხოვრებელი სახლები ყვებოდა პროექტის ზემოქმედების არეალში და ამდენად, ნგრევას ექვემდებარებოდა. მგფ-ის წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ გზის გაყვანა ჩვენზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენდა, პირიქით, მას დადებითი ეფექტი ექნებოდა და ჩვენი ცხოვრების პირობებიც გაუმჯობესდებოდა; მოლაპარაკებები გაგრძელდებოდა და ისინი ჩვენ აზრს აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. ასევე დაგვპირდნენ, რომ კომპენსაცია მაღალი იქნებოდა და უკმაყოფილო არავინ დარჩებოდა.

დაგეგმილი პროექტის გამო, 2013 წლის აგვისტოში მგფ-ის მიერ დაქირავებულმა კომპანიამ შპს „ალიგატორმა" ჩვენი სახლების უშუალო საიხლოვეს მდებარე საცხოვრებელი კორპუსის აუდიტი ჩატარა. ამის შემდეგ, არც მგფ და არც აზიის განვითარების ბანკი არ დაგვკავშირებია. ჩვენ თავად შევეცადეთ რამოდენიმეჯერ დაგვემყარებინა კავშირი მგფ-სთან - ბუნებრივია, გვაინტერესებდა, საბოლოოდ, უნდა დანგრეულიყო ჩვენი საცხოვრებელი სახლები, თუ არა. ნათელი პასუხი, სამწუხაროდ, ვერავისგან მივიღეთ. დროდადრო მგფ-დან გვიკავშირდებოდნენ და გვთხოვდნენ გარკვეული სახის ინფორმაციას (მაგალითად, სახლების ფართობების, კომლთა სულადობის შესახებ), თუმცა, ჩვენთან მოსალაპარაკებლად არავინ მოსულა.

2015 წლის ნოემბერში შევიტყვეთ, რომ პროექტი ნამდვილად ხორციელდებოდა და ბინების შესყიდვის პროცესიც დაწყებული იყო. ამდენად, მივედით მგფ-ში და ვითხოვეთ შეხვედრა, რათა საბოლოოდ გაგვერკვია, ნამდვილად უნდა დანგრეულიყო ჩვენი საცხოვრებელი სახლები, თუ არა და დანგრევის შემთხვევაში, გაგვეგო კომპენსაციის ოდენობაც. შეხვედრისას მგფ-ის წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს კომპენსაცია; ამ საჩივრის დასაწყისში დასახელებული მიზეზის გამო, ჩვენ შემოთავაზებულ კომპენსაციაზე უკმაყოფილება გამოვთქვით. საპასუხოდ, მგფ-ს წარმომადგენლებმა შპს „ალიგატორთან" გადაგვამისამართეს და გვითხრეს, რომ სწორედ იქ შეგვეძლო გაგვერკვია როგორ მოხდა ჩვენი ქონების შეფასება და კომპენსაციის რაოდენობა როგორ იქნა დათვლილი.

2015 წლის ნოემბერშივე, მივმართეთ შპს „ალიგატორის" წარმომადგენლებს. მათ გვაჩვენეს ცხრილი, სადაც შეფასებული იყო ჩვენი საცხოვრებელი სახლები და გვითხრეს, რომ ჩვენ „ბარაკებში" ვცხოვრობთ(!), ასეთი სახლები კი ძალზე იაფია. იქვე დაამატეს, რომ უკმაყოფილების გამოხატვის ნაცვლად, პირიქით, მადლობელი უნდა ვიყოთ შემოთავაზებული კომპენსაციით.

2015 წლის დეკემბერში შევიტყვეთ, რომ აზიის განვითარების ბანკის საქართველოს წარმომადგენლობაში ბანკის უცხოელი წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსული და მათთან შეხვედრა ვითხოვეთ. ბანკის წარმომადგენლებმა (სამწუხაროდ, არ ვიცით მათი ვინაობა, თუმცა ეს შეიძლება დადგინდეს ბანკის ოფისში) მოისმინეს ჩვენი პრობლემა და გვითხრეს, რომ სახლები არასწორად იყო შეფასებული და ჩვენი მოთხოვნა ადეკვატურ კომპენსაციაზე სამართლიანია. შეხვედრის დასასრულს დაგვპირდნენ, რომ ორი თვის შემდეგ, ისევ ჩამოვიდოდნენ და კვლავ შეგვხვდებოდნენ. ასევე, გვთხოვეს, რომ ჩვენი პრობლემის შესახებ განცხადება ყველას ინდივიდულურად დაგვეწერა და მგფ-ში წარგვედგინა.

ამის შემდეგ, 2015 წლის თებერვალში კვლავ მივმართეთ მგფ-ს. ვითხოვეთ საკომპენსაციო თანხის მომატება, რადგან შემოთავაზებული თანხა ახალი საცხოვრებლების შესასყიდად საკმარისი არ იყო. მგფ-ს წარმომადგენლებისგან მხოლოდ ერთ პასუხს ვიღებდით: თუ ბინის ყიდვას ვერ ვახერხებდით, მაშინ ყველას ინდივიდუალურად უნდა მიგვემართა მგფ-სთვის და მგფ თავად მოიძიებდა საცხოვრებლებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი საჩივრის დანაწევრებას და ინდივიდუალური საჩივრების წარდგენას ჩვენგან ითხოვდნენ როგორც აზიის განვითარების ბანკის, ისე მგფ-ს წარმომადგენლები. თუმცა, მათთან შეხვედრების შემდეგ, ჩვენ ამ მეთოდს არ მივმართეთ, რადგან ჩვენ, ყველას, ქვემოთ ხელმომწერებს, მსგავსი პრობლემა გვაქვს და ვთვლით, რომ საჩივრების ინდივიდუალურად წარდგენის საჭიროება არ არის.

ზემოაღწერილი კომუნიკაციის გარდა, არაერთხელ გვქონდა შეხვედრა როგორც აზიის განვითარების ბანკის, ისე მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან. ისინი ყოველ შეხვედრაზე გვპირდებოდნენ, რომ ჩვენ პრობლემას განიხილავენ და საბოლოოდ ყველაფერს ჩვენ სასიკეთოდ გადაწყვეტენ, თუმცა, დღემდე საბოლოო პასუხი არავისგან მიგვიღია.

დასასრულს, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვაცნობიერებთ საავტომობილო გზის გაფართოების საჭიროებას და ზოგადად, პროექტის მნიშვნელობას, მაგრამ, ამასთანავე, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ პროექტის გამო, არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი ჩვენი უფლებები და ინტერესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დეტალურად განიხილოთ ჩვენზე თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის პროექტის ზეგავლენა. ვითხოვთ, რომ სრულფასოვნად შეფასდეს პროექტის განხორციელებით გამოწვეული ჩვენი დანაკარგები (მათ შორის, ქონების, განსახლების, ადაპტაციის და სხვ. ხარჯები) და შემოთავაზებულ იქნეს შესაფერისი კომპენსაცია (მათ შორის, განხილული იქნეს ფონიჭალაშივე განსახლების ალტერნატივა).

პატივისცემით,

1. ანაიდა ტაბატაძე
სახელი, გვარი
ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

2. ირმა ქეშიკაშვილი
სახელი, გვარი
ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

3. ნანა ნანა კედელაშვილი
სახელი, გვარი
ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

4. ნათელა ნათელა არჩვაძე
სახელი, გვარი
ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

5. ელენე ელენე ქავთარაძე ქავთარაძე ე. ქავთარაძე
სახელი, გვარი ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

6. ვალერიანი ლიპარტელიანი ლიპარტელიანი ვ. ლ.
სახელი, გვარი ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

7. Георгий Георгий Симонян Симон
სახელი, გვარი ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

8. ხათუნა ხათუნა აბურჯანია აბურჯანია
სახელი, გვარი ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

9. გიული გიული აბურჯანია აბურჯანია გ. აბურჯანია
სახელი, გვარი ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

10. თეიმურაზ თეიმურაზ აფციაური აფციაური
სახელი, გვარი ხელმოწერა

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

11. ზაზა | ზაზა გორგოშიძე | ____ | ____

სახელი, გვარი | ხელმოწერა

____ | ____

საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)